# საიდან მოვიდა მამუკა ბერიკა

ჩემი რესპონდენტის დაჟინებული თხოვნით მკითხველს გავაცნობ იმ ფოტოს ავტორს, რომელიც წერილს ერთვის თან — ეს გახლავთ ფოტოხელოვანი **ლადო ვაჩნაძე**. ლადო ვაჩნაძე უნიჭიერესი შემოქმედი და ერთადერთი ფოტოგრაფია, რომლის ობიექტივის წინ სიამოვნებით ვდგებიო, — ამბობს მამუკა.

მამუკა ბერიკას ხშირად ვხედავდი კინოსტუდიაში. ერთ მშვენიერ დღეს კი, უკვე ალარარსებული ტელეშოუს — „ტიტანიკი-2"-ის წამყვანად მოევლინა მაყურებელს. მერე რადიოშიც გაისმა მისი ხმა და, ბუნებრივია, როგორც ჟურნალისტს დამებადა უამრავი კითხვა (ისევე როგორც, ალბათ, უამრავ მსმენელს). ამიტომ, აღარ დამიხანებია და ინტერვიუ ვთხოვე. სიამოვნებით დამთანხმდა. დათქმულ დროს ერთმანეთს ტელევიზიაში შევხვდით, თუმცა იქაურ აურზაურს გავექეცით და სასაუბროდ თავი ერთ მყუდრო ბარს შევაფარეთ...

— **სანამ ტელევიზიასა და რადიოში გამოჩნდებოდით, ხშირად მინახიხართ კინოსტუდიაში...**

— მე ვმუშაობდი კინოსტუდიაში. მოღვაწეობა მუშის თანამდებობით დავიწყე. ამაში სათაკილოს ვერაფერს ვხედავდი და არც ახლა ვმალავ. როცა საქმიანობას ქვედა ეშელონებიდან იწყებ, საფუძვლიანად შეისწავლი, რა ხდება იმ სფეროს სამზარეულოში. ჩემი პირველი ფილმი გახლდათ „ნეილონის ნაძვის ხე". ერთ მშვენიერ დღეს გადამღები ჯგუფიდან დამდგმელი მხატვარი წავიდა. განათლებით თვითონაც მხატვარი ვარ. ბატონმა რეზო ესაძემ მალე შეამჩნია, რომ ჩემი ინტელექტუალური პოტენციალი გაცილებით მაღალი იყო და მუშის თანამდებობიდან მხატვარ-დეკორატორის თანამდებობაზე გადავინაცვლე. ბედნიერი ვარ, რომ მიმუშავია ისეთ პროფესიონალებსა და ადამიანებთან, როგორებიც არიან ბატონები ლევან პაატაშვილი და რეზო ესაძე... შემდეგ ფილმებზეც, ძირითადად მხატვარ-დეკორატორად ვმუშაობდი.

— **კინოსტუდია პირველი სამსახური იყო თქვენთვის?**

— არა, მანამდე საკმაოდ ბევრი პროფესია გამოვიცვალე. როგორც ცხოვრება მკარნახობდა, მეც ისე ვიქცეოდი. ხშირად მიწევდა ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლა.

— **გამიგია, მოგზაურობა უყვარსო...**

— ტურისტად თითქმის არც ერთ ქვეყანაში არ ჩავსულვარ. ნამდვილად არ მიზიდავს ეს საქმე. ამიტომ, ეთნოგრაფიული ადგილების თავგადაკლული დამთვალიერებელი არასდროს ვყოფილვარ. ოთხჯერ ვარ პარიზში ნამყოფი და ეიფელის კოშკი ახლოდან არასდროს მინახავს. ვნახულობდი იმას, რაც მაინტერესებდა.

— **მაინც რა გაინტერესებდათ?**

— იყო დრო, როცა მაინტერესებდა სამედიტაციო ცენტრები, სხვა დროს — რელიგიური ცენტრები, მუსიკა...

— **ახლა რითი ხართ გატაცებული?**

— რაც მაინტერესებს, სწორედ იმას ვაკეთებ. ვარ რადიოსადგურში და ვმუშაობ სხვადასხვა ტელეპროექტზე. ოქტომბერში მაყურებელი თვითონ იხილავს და შეაფასებს ჩემს გადაცემას.

— **თქვენი მოღვაწეობის ერთ-ერთი მხარეა შოუბიზნესიც...**

— ამ სფეროსთან, ძირითადად, დაკავშირებული ვარ პრომოუშენით და მენეჯმენტით... ბევრი შემსრულებლის პრომოუტერი გახლავართ. ჩვენში ამ საქმიანობას რატომღაც პროდიუსერს ეძახიან. ეს არ არის სწორი.

— **ვინ არიან ეს მომღერლები?**

— ჯერჯერობით, არ გაგიმხელთ. მხოლოდ მათ დაგისახელებთ, ვინც საზოგადოებისთვის უკვე ცნობილია. ესენი არიან: ქეთა თოფურია, ჯგუფი „შხეფი" და მოსკოველი ანა პერენა. დანარჩენებზე ამჯერად არაფერს ვიტყვი. მაგრამ უნდა გითხრათ, რომ საკმაოდ საინტერესო პროექტს ვამზადებთ მე და ჩემი კოლეგები.

— **თქვენ ნინო ზაუტაშვილთან ერთად მიგყავდათ ტელეგადაცემა „ტიტანიკი-2". რა ბედი ეწია ამ გადაცემას?**

— „ტიტანიკი-2" „ტიტანიკივით" ჩაიძირა. ეს ტელეშოუში ჩემი პირველი ნამუშევარი იყო. სხვათა შორის, საკუთარ საქმიანობას ტელევიზიაში საკმაოდ კრიტიკულად ვუყურებ, მაგრამ, ვფიქრობ, ამ გადაცემამ ასე თუ ისე შეასრულა თავისი დანიშნულება. სულ სამჯერ გავედით ეთერში. ერთმა, თითქმის უმნიშვნელო ნიუანსმა „ჩაძირა" გადაცემა. რეჟისორს არ უნდოდა ამ პროგრამის ეთერში გაშვება. პროექტში დიდძალი ფული იყო ჩაყრილი. ხელმძღვანელობის დაჟინებული მოთხოვნით, გადაცემა დროზე ადრე წარვუდგინეთ მაყურებელს... მერე კი მისი გასაგრძელებელი ფული ველარ ვიშოვეთ. მაგრამ მამუკა ბერიკა აუცილებლად გამოჩნდება ეთერში ტელეწამყვანის როლში. მაყურებელი იხილავს ხასიათითა და სტილით ორ აბსოლუტურად განსხვავებულ პროგრამას. ერთ-ერთი გადაცემის ავტორიც ვიქნები.

— **რადიოში მიგყავთ გადაცემა „სტუდია-ა"... ხმით თუ გცნობენ ქუჩაში?**

— რა თქმა უნდა... უნდა გითხრათ, რომ ძალიან მსიამოვნებს.

— **ვიცი, რომ გყავთ არაჩვეულებრივი პატარა, ცხრა წლის მეგობარი, ეს არის თქვენი ბიჭი...**

— იგი დედასთან და ბებიასთან ერთად ცხოვრობს და ერთადერთი კაცია ოჯახში. ვფიქრობ, მამის და შვილის ურთიერთობა გაგებაზე უნდა იყოს აგებული და არა შიშზე. როდესაც რაიმეს გაკეთებას ვთხოვ, ყოველთვის მეკითხება — რატომ? მეც ყოველთვის ვუხსნი. ხშირად მეუბნებიან, მამა ხარ და ცოტა სიმკაცრეც გმართებსო. რამდენჯერმე ვცადე მკაცრი ვყოფილიყავი... მაშინვე შევამჩნიე, რომ ჩვენ შორის კედელი აღიმართა.

— **თქვენი გვარი საიდან მოდის, ბერიკაშვილის შემოკლებული ფორმაა თუ ფსევდონიმი?**

— ამ შეკითხვაზე არ გიპასუხებთ — მე ვარ მამუკა ბერიკა და აქ ვსვამ წერტილს... მიმაჩნია, რომ მე იმ ბერიკების შთამომავალი ვარ. ბერიკაობა მთელი მისტერია იყო, რომელშიც იდო ნაციის სული.

— **ფრაზა, რომელმაც პოპულარული გაგხადათ...**

— აჰააა...

*ეკა მახარაშვილი*

---

როდის დამთავრდება „ძილის წინ"

# კახური დიალექტი ვიდეოკასეტიდან შევისწავლე...

*თიკო ქათამაშვილს* მსახიობობა სიმღერამ გადააწყვეტინა. ამბობენ, სანამ ლაპარაკს დაიწყებდა, მანამდე მღეროდაო. „ძილის წინ" მისთვის ფეხბედნიერი გამოდგა. ლანა კრანუაშვილის როლს მოჰყვა მიწვევები მარჯანიშვილის თეატრში, თეატრალურ სარდაფში. სექტემბრიდან კი, საესტრადო კარიერასაც უნდა დაუთმოს დიდი ყურადღება. თიკოს ძალიან უყვარს ცერცვაძეების ოჯახი — მათ გარეშე სიცოცხლეც კი ვერ წარმოუდგენია...

— **თიკო, როგორ მოხვდი სერიალში?**

— თამრიკო ბართაიასა და კოკა ყანდიაშვილის წყალობით. თამრიკომ შემომთავაზა კახელი გოგოს როლი. თავდაპირველად, ცოტა არ იყოს, დავფრთხი, მაგრამ მაინც წავედი სინჯებზე. ჩემდა სასიხარულოდ, მოეწონათ და დამამტკიცეს როლზე. ასე გადავდგი პირველი ნაბიჯები ტელევიზიაში. ვსარგებლობ და მინდა ყველას დიდი მადლობა ვუთხრა, ვინც იქ მუშაობის საშუალება მომცა.

— **თვითონ კახელი ხარ?**

— არა, ქართლელი ვარ, თუმცა, არც ისე შორიშორსაა ქართლი და კახეთი...

— **კახური კილო როგორ დაიყენე?**

— სინჯებზე ვეცადე მელაპარაკა კახურ დიალექტზე, მაგრამ უფრო მთიულურის და კახურის ნარევი გამომივიდა. ბატონმა კოკამ მითხრა, იქნებ ერთი დღით მაინც წახვიდე კახეთში და დააკვირდე, იქ როგორ ლაპარაკობენო. მართლაც წავედი სოფელ მუკუზანში, ჩვენს ნაცნობთან — დათო უზუნაშვილთან. იცოდა, რისთვისაც ჩავედით და თავის რძალთან მიგვიყვანა. მაგრამ, რად გინდათ — თბილისელი სტუმრები რომ დაგვინახეს, გაიპრანჭნენ და აქეთ ცდილობდნენ თბილისურად ლაპარაკს. ერთი სიტყვით, კახეთში სტუმრობით არაფერი გამომივიდა. რომ წამოვედი, ოჯახის ერთ-ერთი წევრის დაბადების დღის კასეტა გამომატანეს, თავისი სადღეგრძელოებიანად, კახური ხუმრობითა და ცეკვა-სიმღერით. ვნახე და ყველაფერი ნათელი შეიქნა. უცებ ავუღე ალღო კახურ კილოს.

— **სერიალის ჯგუფს კარგად შეეწყვე?**

— თავიდან ძალიან დაძაბული ვიყავი, თუმცა, მალევე დამავიწყეს, რომ დამწყები მსახიობი ვარ. სამსახურის მიღმა ძალიან ახლო ურთიერთობა არავისთან მაქვს, მუდმივად დაკავებულები ვართ, რაც შეეხება ვერსაჩეს — ალეკო მახარობლიშვილს, ის ჩემი პედაგოგიც არის, უფროსი მეგობარიც და ფაქტობრივად, ჩემი ოჯახის წევრია... თუმცა, იქ ყველას ჩემს მეგობრად მივიჩნევ, იმდენად არაჩვეულებრივი ურთიერთობა გვაქვს გადასაღებ მოედანზე.

— **ვიცი, რომ ძალიან მხიარულობთ გადაღებისას.**

— კურიოზული სიტუაცია ჩვენი მუდმივი მეგზურია... ახლახან ფილტვების ანთება გადავიტანე. გადაღებაზე სიცხიანი მივედი. სტუდიაში მისვლამდე საპარიკმახეროში გავიარე. ვარცხნილობა და მაკიაჟი გავიკეთე. ლაშა ბულაძემ სცენარის ის ეპიზოდი მოიტანა, სადაც აბაზანიდან გამოვდივარ. შემოვიცვი ხალათი. ბატონმა ოთარმა დაიწუნა. ეს ზამთრის ხალათიაო... მომახვიეს პირსახოცი, იქით კონდიციონერია ჩართული, კინაღამ გავგიჟდი... მერე, თმა სველი უნდა გქონდესო — ახლა ამაზე დავიწყე ომი. წყალი არ მოდიოდა, ადგნენ და ნაბეღლავი დამასხეს თავზე. გადაღებაზე სიცხიანი, აკანკალებული, ნახევრად შიშველი და სველი ვიჯექი. ამას რა დამავიწყებს?

— **ლანას ძალიან უყვარს სმა...**

— ძალიან...

— **თიკოს?**

— ისე არა, როგორც ლანას, მაგრამ არ დამილევია-მეთქი, რომ გითხრა, ვიცრუებ... ხანდახან დალევაც სასარგებლოა. გადაღების შემდეგ ხშირად იშლება ხოლმე სუფრა. არაჩვეულებრივი იყო ახალი წლის პერიოდი... დღე არ გავიდოდა, რომ არ გვექეიფა.

— **ლანას ძალიან უნდა გათხოვება. თიკოს?**

— თიკოს, ჯერჯერობით, არა. ისეთი დაძაბული რეჟიმი მაქვს, რომ ამაზე ჯერ ვერ ვფიქრობ. ალბათ, მოვა ამის დროც.

— **შენი აზრით, როდის დამთავრდება „ძილის წინ"?**

— არ ვიცი, შეიძლება ნოემბერში, შეიძლება — იანვარში... ძალიან დამწყდება გული, ისე მიყვარს იქაურობა. ერთი კი ფაქტია, ლანასაც და თიკოსაც ძალიან გაუჭირდება ცერცვაძეების ოჯახის გარეშე ცხოვრება და აუცილებლად გააგრძელებს მათთან მეგობრობას.

*ეკა მახარაშვილი*

კვირის პალიტრა
გზა
N36(65) 6/IX-12/IX.2001
ფასი 60 თ.
გასროლა თეთრი „ნივიდან"
როგორ მოვიხსნათ ჯადო? რას გვირჩევს მღვდელი
მკვლელობა ქოხულეთში
აპირებს თუ არა ეკა ბერიძე სხეულის დანარჩენი ნაწილების გაზრდას
ჟურნალი თქვენთვის!